

## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

### გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

**სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება:** გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების კონცეფცია;

**დამგეგმავი ორგანო:** სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო;

**სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილი:** გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობა და მიმდებარე ტერიტორიები;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 24.05.2024;

2024 წლის 24 მაისს, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების კონცეფცია და სკოპინგის განცხადება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი კონცეფციისა და სკოპინგის განცხადების (თანდართული დოკუმენტაციით), როგორც გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალზე განთავსება (<https://ei.gov.ge/ka/info/5a45f807-afd7-4409-9f74-9aa9618e5675>), ასევე დოკუმენტაციის გაგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე.

სგშ-ის სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის (გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობა და მიმდებარე ტერიტორიები) გარემოს ზოგადი აღწერა. კერძოდ, დახასიათებულია საპროექტო ტერიტორიის კლიმატური პირობები, გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, სეისმური პირობები, ჰიდროლოგიური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები და ბუნებრივი სტიქიური პროცესები. აღწერილია ნიადაგები, წიაღისეული რესურსები, ტყის ფონდი, ლანდშაფტები, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები. აღწერილია, აგრეთვე, სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები, კულტურული მემკვიდრეობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. შემოთავაზებული საპროექტო არეალის ფართობი შეადგენს დაახლოებით 29350 ჰა-ს და მოიცავს მდინარე ტანას აუზს, რომელიც, თავის მხრივ, დიდწილად ემთხვევა ტანა-თეძამის დაცული ტერიტორიების საზღვრებს და წარმოადგენს ერთიან ლანდშაფტურ სივრცეს.

ტანასა და თეძამის დაცული ტერიტორიები მოიცავს, როგორც ტანასა და თეძამის დაცულ ლანდშაფტს, ისე ტანას აღკვეთილს. ტანასა და თეძამის დაცული ლანდშაფტის საერთო ფართობია 21 864 ჰექტარი, ხოლო ტანას აღკვეთილის - 10 986 ჰექტარი. სტრატეგიული

დოკუმენტით გათვალისწინებული არეალის შემადგენლობაში შემოდის ტანას აღკვეთილი სრულად (10 986 ჰა), ხოლო ტანასა და თეძამის დაცული ლანდშაფტი - 16 160 ჰა ფართობით.

სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ტერიტორიის საზღვრებში ხვდება ატენის, ბოშურისა და მდებრიანის თემების ტერიტორიაზე არსებული სოფლები და ნასოფლარები (ჯამში 18 სოფელი და 13 ნასოფლარი).

დოკუმენტაციის მიხედვით, ტანას ხეობის კულტურულ-ლანდშაფტური პარკი, როგორც რეგიონული მნიშვნელობის ტერიტორია, განხილული უნდა იყოს შიდა ქართლის კონტექსტში და მისი მიმდებარე ტერიტორიებიც მასთან ერთიანობაში უნდა იყოს გააზრებული და გათვალისწინებული.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ატენის ხეობას მოქმედი სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმები არ გააჩნია. სკოპინგის ანგარიში მომზადებულია სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის შუალედური ვერსიის მიხედვით, სადაც წარმოდგენილია გეგმარებითი ერთეულის განვითარების კონცეპტუალური მიზნები, ამოცანები და კონკრეტული პროექტები. მოცემული კონცეპტუალური ხედვები დაზუსტდება შემდეგი ეტაპებისთვის: გეგმის კონცეფცია და შემდგომ, გეგმის პროექტი.

ტანას ხეობაში გამოყოფილია შემდეგი სივრცითი კატეგორიები:

- დასახლებული ტერიტორია;
- დაუსახლებელი ტერიტორია (მათ შორის მოიაზრება ნასოფლარი ტერიტორიები);
- ბუნებრივი ლანდშაფტის ტერიტორია.

განსაკუთრებული ტერიტორიები მოიცავს ტურისტულ ზონას, ხოლო ფუნქციური ზონირების პრინციპით გამოყოფილია სამშენებლო ტერიტორიები, რომლებიც მოიცავს ფუნქციურ ზონას - შერეულ ქვეზონას (შზ) და ფუნქციურ ქვეზონებს: ვენახის ზონა (შზ-6) სექტორი 1, ვენახის ზონა (შზ-6) სექტორი 2 და ვენახის ზონა (შზ-6) სექტორი 3.

ფუნქციური ზონირების პრინციპით გამოყოფილია, ასევე, არასამშენებლო ტერიტორიები: გამწვანებული ტერიტორია, სატყეო ტერიტორია და ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია.

დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია და როლი არის სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, აღკვეთილის მიწების, დაცული ლანდშაფტების, სივრცეებისა და ტერიტორიების დაცვა-კოორდინაცია. სტრატეგიული დოკუმენტის ძირითადი მიზნებია:

- ბიოსფეროს გრძელვადიანი შენარჩუნება და მდგრადობის უზრუნველყოფა;
- მდგრადი სოფლის მეურნეობის (მათ შორის მევენახეობის და მეღვინეობის) განვითარება;
- ეკოტურიზმის (მათ შორის, ღვინის, ეკო, კულტურული, შემეცნებითი, საკურორტო და ექსტრემალური) განვითარება;
- ხეობის გრძელვადიანი და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.

გამომდინარე იქიდან, რომ ხეობა მრავალფეროვან და კომპლექსურ კულტურულ მემკვიდრეობას მოიცავს, სკოპინგის ანგარიშის ერთ-ერთ მთავარ რეკომენდაციას ხეობის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება წარმოადგენს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სტრატეგიულ დოკუმენტში სოფლებისა და განაშენიანებული ტერიტორიების მართვისა და განვითარების კუთხით, გასათვალისწინებელია: მიწათსარგებლობისა და მიწათდაფარულობის გეგმების დახვეწა, სრულყოფა და პერმანენტული სისტემატიზაცია; განაშენიანებული ტერიტორიების ირგვლივ სასოფლო-სამეურნეო მიწების (მათ შორის, ვენახებისა და ბაღების) შენარჩუნება და განვითარება; ურბანული განვითარების დარეგულირება, უნებართვო მშენებლობების კონტროლის გამკაცრება; განაშენიანებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია, მათი არქიტექტურული იერსახის შენარჩუნებისა და ფრთხილი ტრადიციული სამშენებლო ტექნოლოგიების გამოყენებით; სოფლის განაშენიანებული ტერიტორიების ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის შემდგომი დაგეგმვა და განვითარება; განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში წყალმოვარდნისა და ღვარცოფის რისკების მაქსიმალურად გათვალისწინება; განაშენიანებული ტერიტორიების დაცულ ტერიტორიებთან მიმართებით ერთგვარ ბუფერულ ზონად წარმოდგენა და სხვა.

დოკუმენტის თანახმად, საჭიროა მდ. ტანას და მისი შენაკადების კალაპოტების დასუფთავება და მონიტორინგის სისტემის დანერგვა. მდინარის სანაპიროების დაგეგმარებისას, მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნას რეჟიმი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება წყლის დონის აწევის მაქსიმალური ნიშნული. საპროექტო ქუჩები და ხიდები უნდა განთავსდეს დადგენილ ნიშნულზე მაღლა.

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ატენის ხეობაში წარმოდგენილია ლანდშაფტის 6 გვარი. კონცეფციის თანახმად, ისტორიული დაცვის არეალი მოიცავს დიდ ატენსა და ჭეჭელაანთუბანს, ხოლო განაშენიანების რეგულირების არეალში ხვდება გარდატენის უბანი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აუცილებელია, სოფლისთვის დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების ზონა. სარეაბილიტაციო არეალს მიეკუთვნება „ინტერნატის უბანი“ სოფელ გარდატენში, დეგეულა და ფუხაანთუბანი. ამჟამად მიმდინარეობს, სარეკომენდაციო არქეოლოგიური და სარეკომენდაციო ლანდშაფტის დაცვის ზონების საზღვრების დაზუსტება.

დოკუმენტის თანახმად, კვლევის პროცესში, განისაზღვრა სხვადასხვა სპეციფიკის და დანიშნულების არეალები (მაგალითად, სახელმწიფო ტყის ტერიტორია, დაცული ტერიტორიების საზღვრები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ლოკაციები, ტურისტული ობიექტები და მარშრუტები), რომლებმაც ზეგავლენა იქონია ტერიტორიის სამომავლო განვითარების კონტექსტზე.

საპროექტო არეალის საერთო კონტექსტისა და ბუნებრივ-ეკოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ტანას ხეობის განვითარების ხედვა დაეფუძნება UN-HABITAT - გაეროს პროგრამის „ადამიანთა დასახლებებისა და მდგრადი ურბანული განვითარებისთვის“ 17- ვე მიზანს (SDGs), კერძოდ, კორელირებულ ნაშენი და უშენი ტერიტორიების \*NBS (Nature Based Solutions - გარემოზე დაფუძნებული გადაწყვეტები) კონტექსტში სივრცითი ამოცანების გადაწყვეტას. სკოპინგის განცხადებაში ცხრილის სახით მოცემულია NBS-თან რელევანტური,

შემოთავაზებული ტანას ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის მიზნების, გაეროს SDG-ს მიზნებთან ურთიერთკავშირი.

პროექტის შემდეგ ეტაპზე შეფასდება თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მდგრადი, სივრცის დაგეგმარების ამოცანები, მიენიჭება შესაბამისი ინდიკატორები და განისაზღვრება მათი განხორციელების შესაძლებლობები კონკრეტული შემთხვევებისთვის. საკვლევი არეალის ძირითადი, ფუნქციური ზონირება დაზუსტდება კონცეფციის ეტაპზე დავალების შესაბამისად.

ატენის ხეობის დიდი ნაწილი ტყითაა დაფარული, რომელიც ტანასა და თემამის დაცული ლანდშაფტის და ტანას აღკვეთილის ადმინისტრაციებს ექვემდებარება. სატყეო ტერიტორიები მოიცავს ისეთ კორომებს, რომლებიც მაღალი საკონსერვაციო ღირებულებისაა.

წარმოდგენილი საპროექტი არეალის მთლიანი 29350 ჰა (shp ფაილები) ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1527 ჰა წარმოდგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, გორის სატყეო უბნის ატენის სატყეოსა და დანახვისის სატყეოებს.

სტრატეგიულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მდინარე ტანას ხეობა ღირებულ ტერიტორიას წარმოადგენს არაერთი დაცული და საკონსერვაციო სტატუსის მქონე სახეობისთვის. ამასთან ხეობის მონაკვეთი მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულისა და ალგეთის ეროვნულ პარკებს შორის, რომელსაც შეუძლია შეასრულოს აღნიშნული დაცული ტერიტორიების დამაკავშირებელი დერეფნის ფუნქცია.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ატენის ხეობაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ლანდშაფტები და მცენარეულობა. ხეობა, აგრეთვე, ხასიათდება ფაუნის სახეობების საკმაოდ მაღალი მრავალფეროვნებით. დოკუმენტაციის მიხედვით, გეგმარებით არეალში გავრცელებულია წითელ ნუსხაში შეტანილი ძუძუმწოვართა რამდენიმე სახეობა.

ასევე, ხაზგასმულია, რომ ატენის ხეობის ნაწილი ირმის მთლიანი არაფრაგმენტირებული პოპულაციის აღდგენისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია და შეიძლება განხილულ იქნას, როგორც პოტენციური დერეფნის ნაწილი ირმის პოპულაციის აღდგენისათვის.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ტანას ხეობა საინჟინრო ინფრასტრუქტურის ქსელით არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი. მხოლოდ ელექტროენერგიით მომარაგებაა ხელმისაწვდომი ხეობის ყველა სოფლისთვის. გაზომომარაგების ქსელი მხოლოდ ხეობის საწყის სოფლებშია. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ხეობის ყველა სოფლის გაზომომარაგებით და წყალმომარაგებით უზრუნველყოფა. ხეობაში არ არსებობს წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელები. მნიშვნელოვანია, ხეობაში დაინერგოს ალტერნატიული (განახლებადი) ენერგორესურსების გამოყენება.

ხედვაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს, ე.წ. ინტერნატის დასახლება სოფელ პატარა ატენის ცენტრში. დოკუმენტაციის მიხედვით, არსებული კონტექსტიდან

გამომდინარე, მნიშვნელოვანია თუ მას დაუბრუნდება პირველადი საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ფუნქცია. ეს აქტივობა დამატებით შექმნის ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრს, რომელიც თავის თავში გააერთიანებს მულტიფუნქციურ ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრ(ებ)ს, სხვადასხვა ტიპის კულტურულ-დასასვენებელ სივრცეებს, ადგილობრივი პროდუქციის საპრომოციო სივრცეს (მცირე ზომის ჯიხურები) და რომელიც იფუნქციონირებს ოთხი სეზონის განმავლობაში. გარდა ამისა, კონცეფციის თანახმად, არსებულ პანსიონატის შენობას, რომელიც ამ ეტაპზე ნაწილობრივ ამორტიზებულია, მნიშვნელოვანია დაუბრუნდეს პირვანდელი ფუნქცია, რომელსაც გააჩნია, როგორც სოციალური, ასევე ტურისტული განვითარების პოტენციალი. საზაფხულო ეკობანაკი მიიღებს მოსწავლეების ლოკალურ და საერთაშორისო ჯგუფებს.

ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, ბობნევის ტბისა და მისი მიმდებარე ლანდშაფტის განვითარება ეკოტურისტული ჰაბის შესაქმნელად მნიშვნელოვან წინაპირობას შექმნის როგორც ტურისტული, ასევე ეკოლოგიური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გამოწვევების საპასუხოდ. არსებული მდგომარეობით, ტბა (ხელოვნური რეზერვუარი) ფაქტობრივად აღარ არსებობს, დაკარგული აქვს პირვანდელი ფუნქცია. აღდგენის შემთხვევაში შესაძლებელია მისი როგორც სარეკრეაციო, ასევე საინჟინრო ან საწარმო (თევზსაშენი) ფუნქციით დატვირთვა. ტბის ფაქტორის გაძლიერება კარგი წინაპირობა იქნება მის მიმდებარე ლანდშაფტზე ისეთი ტურისტული ობიექტების განვითარებისთვის, როგორებიც არის კონცეპტუალური რესტორანი, საკემპინგე ტერიტორია, სპორტული თევზჭერა, სავაჭრო დახლები და ა.შ.

სოფელ ბობნევის ჩრდილოეთით, დაცული ტერიტორიებით შემოსაზღვრული ვაკე ტანას ხეობის სივრცის დაგეგმარების კონცეფციაში წარმოადგენს ერთ-ერთ მაღალი მიზიდულობის ტურისტულ ადგილს, სადაც შესაძლებელია განვითარდეს სხვადასხვა ტიპის კონცეპტუალური საფესტივალო სივრცეები.

სოფელ იფნარას მიმდებარედ არსებული პლატო კი, რეგიონის მრავალფეროვანი ლანდშაფტის აღქმის საუკეთესო წერტილს წარმოადგენს, სადაც შესაძლებელია მცირე ზომის კონცეპტუალური ღამისთევის ან/და კვების ობიექტების განთავსება.

დოკუმენტის თანახმად, ტანას ხეობისთვის, მდგრადი ტურიზმის კონცეფციის გასატარებლად და განსავითარებლად არსებობს გარკვეული ინიციატივები, როგორებიც არის მწვანე ალტერნატივები, ბუნებრივი მეთოდებით დამუშავებული მიწის ნაკვეთები და ვენახები, ვაზის ძველი ჯიშების გამრავლება, ღვინის ბუნებრივი წარმოება, ადგილობრივი თემის ჩართულობა (ქალების ჩართულობა პირდაპირ და ირიბად), საცხენოსნო ტრადიციების აღდგენა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვა ცოდნის გაზიარების გზით.

დოკუმენტაციის მიხედვით, რელიეფის თავისებურებების გათვალისწინებით, ტანას ხეობაში მნიშვნელოვანია მოეწყოს სხვადასხვა სიგრძის ბილიკები, რომლებიც პასუხობს სხვადასხვა პოტენციური ბაზრის საჭიროებებს და უზრუნველყოფს დანიშნულების ადგილზე

ეკოლოგიურად მგრძობიარე გზით (ფეხით, ველოსიპედით ან ცხენით) შესვლის შესაძლებლობას.

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტანას ხეობისთვის დამახასიათებელი კლიმატის ცვლილების შედეგები შესაძლებელია გამოიხატოს წყალდიდობების, წყალმოვარდნების, მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდაში. აგრეთვე, მოსალოდნელია გვალვიანობის მატება, ტემპერატურის მატება, წყლის რესურსების შემცირება, სეზონების წანაცვლება, ნიადაგების ეროზია და ა.შ.

სკოპინგის ანგარიშზე დაყრდნობით, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და შერბილების ღონისძიებების კუთხით, მნიშვნელოვანია გეოგრაფიული არელების სწორი სივრცითი განვითარება, რაც ითვალისწინებს მდგრადი ურბანული და სარეკრეაციო სივრცეების შექმნას, პასიური შენობის დაგეგმარების პრინციპების გამოყენებას, ადგილობრივი და გადამუშავებადი მასალების გამოყენებას და ენერგოეფექტური მიდგომებისა და განახლებადი ენერგო რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას.

დოკუმენტაციაში ცხრილის სახით მოცემულია ტანას ხეობის სივრცითი განვითარების ხედვის ღონისძიებების აქტუალობა კლიმატის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზნებთან.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატენის ხეობის რელიეფი შემდეგი გეოლოგიური საფრთხეების შემცველია: ინტენსიური სიღრმული და ფართობული ეროზია, დახრამვა, ღვარცოფწარმომქმნელი მასალის და ხევების ფორმირება, ეროზიის შედეგად ცალკეული, საყრდენ გამოცლილი შრეების ჩამოშლა-ჩამონგრევა და სხვა. აღნიშნულია, რომ ასეთი მოვლენები გავრცელებულია ატენის ხეობის შესასწავლი არეალის საკმაოდ დიდ ფართობზე, ძირითადად ჩრდილო ნაწილში და მისი გათვალისწინება სამომავლო სამუშაოების თუ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას აუცილებელია.

მდ. ტანას ხეობის მარცხენა ფერდის დიდი ნაწილი მოკლებულია ტყის საფარს, ძლიერად არის დანაწევრებული ეროზიული მშრალი ხევებით, რომლებიც პერიოდულად ივსება ნაშალი მასალით და ძლიერი წვიმების დროს იქმნება ხელსაყრელი პირობები ღვარცოფული ნაკადების ფორმირებისთვის, რომლებიც ძირითადად ცენტრალურ საგზაო მაგისტრალზე გადმოდის.

დოკუმენტაციის თანახმად, ტანას ხეობაში ტყეების გაჩეხვის გამო, ძლიერი წვიმების დროს ხრიოკი ქედებიდან ჩამორეცხილი წყლები თავს იყრის ხეობაში და იწვევს წყალდიდობას. ატენის ხეობაში მდ. ტანას წყალდაცვითი ზოლი განისაზღვრა 20 მეტრით (50 კმ-მდე სიგრძის მდინარებისთვის). ხეობის დანარჩენი მდინარეები 25 კმ-მდე სიგრძისაა, შესაბამისად, მათი წყალდაცვითი ზოლი განისაზღვრა 10 მეტრით მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს.

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ატენის ხეობის კლიმატური პირობები, მთიანი დანაწევრებული რელიეფი, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და წყალშემკრები აუზის საკმაოდ დიდი ფართობი, განაპირობებს საკმაოდ ხშირ და მასშტაბურ წყალმოვარდნებს, და ღვარცოფს. მაღალმთიან, ძირითადად დაუსახლებელ ადგილებში ხშირია თოვლის ზვავები.

აგრეთვე, ბუნებრივი საფრთხეების პროვოცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორად განსაზღვრულია არამდგრადი სატყეო მეურნეობა, რომელიც იწვევს ჰაბიტატების დეგრადაციასა და ფრაგმენტაციას, ზრდის წყალდიდობების, და ეგზო-გეოდინამიური

პროცესებით (მეწერების, ქვათაცვენის და სხვ.), გამოწვეულ ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეს. შედეგად, იცვლება ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა და საფრთხის ქვეშ ექცევა ხეობაში არსებული დასახლებული პუნქტები, მოსახლეობა და განსაკუთრებით საგზაო ინფრასტრუქტურა.

დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული ეგზო-გეოდინამიკური პროცესებიდან, ხეობის ფარგლებში ყველაზე უფრო გავრცელებულია ღვარცოფი, მეწერული პროცესები, ეროზია (გვერდითი და ფართობული), ქვათაცვენა, კლდეზვავი და წყალმოვარდნა.

დოკუმენტის თანახმად, სოფ. ატენის ჩრდილოეთით, საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ტანას მარცხენა ფერდობზე (კოორდინატები: x-427433, y-4644485) განვითარებული მეწერული სხეული პერიოდული რეაქტივაციით ხასიათდება. ასევე საშიშროების ქვეშაა მდ. ტანას მარჯვენა ტერასული საფეხური, რომელიც განიცდის გვერდით ეროზიას და აზიანებს საკარმიდამო ნაკვეთებს. სკოპინგის ანგარიშზე დაყრდნობით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად გაზრდილია სატრანსპორტო მოძრაობის ინტენსივობა და შესაბამისად, ვიბრაცია მეწერულ ფერდობზე, მომავალში მოსალოდნელია მეწერული პროცესების აქტიურობის ხარისხის ზრდა. ამიტომ, აუცილებელია, მდ. ტანას დაზიანებული ნაპირის გასწვრივ ფერდობის დამცავი გაბიონის ტიპის კედლის მოწყობა და გეომონიტორინგის გაგრძელება.

ღვარცოფისა და წყალმოვარდნის რისკის შესამცირებლად აუცილებელია ეროზიულ ხევეებში ღვარცოფმაფორმირებელი ნაშალი მასალის რაოდენობის მონიტორინგი და აუცილებლობის შემთხვევაში, მასალის მოცილება. დოკუმენტაციის მიხედვით, ცენტრალური გზის გასწვრივ განლაგებული პრაქტიკულად ყველა ფერდი ქვათაცვენის რისკის ქვეშ დგას.

სკოპინგის ანგარიშში ცხრილის სახით წარმოდგენილია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის (2021 წელს) და საპროექტო გუნდის მიერ (2024 წელს) გამოვლენილი გეოლოგიური საფრთხეების შემცველი ობიექტები. ცხრილის სახით, ასევე, წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სტიქიური პროცესების ზეგავლენის არეალში მოქცეული დასახლებული პუნქტების ადგილმდებარეობა (გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენი). დოკუმენტში ილუსტრაციის სახით მოცემულია გეგმარებითი არეალის მეწერული, წყალმოვარდნისა და ღვარცოფის, ქვათაცვენისა და კლდეზვავის რისკების ზონირების რუკები.

სკოპინგის ანგარიშში რეკომენდაციის სახით აღნიშნულია, რომ ატენის ხეობაში სამშენებლო, ინფრასტრუქტურული და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების სტადიებზე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული გეოლოგიურ გარემოში მინიმალური ჩარევის მქონე ალტერნატიული სამუშაოები.

ამასთან, სტიქიური ეგზოგეოდინამიკური პროცესების ყველანაირი პრევენციული და/ან შემარბილებელი სამუშაოების დროს მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ბიო-საინჟინრო ღონისძიებები (ფერდობების გამწვანება, ანტიეროზიული ბიოლოგიური ღონისძიებები და სხვა).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და აღნიშნული საკითხი სგშ-ის ეტაპზე განხილვას არ საჭიროებს.

რაც შეეხება ალტერნატივების განხილვას, გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში ალტერნატივები განხილული იქნება შემდეგი მიმართულებებით:

ნულოვანი ალტერნატივა (არაქმედების) - სცენარი, როდესაც გეგმარებითი ერთეული ვითარდება სტრატეგიული დოკუმენტის გარეშე;

- გეგმარებითი ალტერნატივა - გეგმარებითი ალტერნატივა შეიძლება მოიცავდეს გეგმარებითი ერთეულის და/ან კონკრეტული არეალის ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით განვითარების სხვადასხვა ვარიანტს;
- კონკრეტული პროექტის ალტერნატივა - ამ შემთხვევაში შეფასდება გეგმარებითი ერთეულისთვის დამუშავებული ზოგიერთი კონკრეტული პროექტის ალტერნატივები ადგილმდებარეობის ან განვითარების ტიპის მიხედვით. მაგალითად გზების შემთხვევაში, ატენის ხეობის სამომავლო განვითარების თვალსაზრისით, დამუშავდება 2 ალტერნატივა.

ნულოვანი და გეგმარებითი ალტერნატივების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ცხრილი. ცხრილი მოიცავს როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალური გარემოს კომპონენტებს. გეგმარებითი ერთეულის ფონური მონაცემებისა და გეგმარებითი პარამეტრების გათვალისწინებით რანჟირებული მატრიცით შეფასდება სხვადასხვა ინდიკატორებზე ზემოქმედება და გამოყვანილი იქნება საშუალო მაჩვენებელი.

კონკრეტული პროექტების ალტერნატივებისთვის, სგშ-ის ანგარიშში ასევე გამოყენებული იქნება რანჟირებული მატრიცა, იმ განსხვავებით, რომ ზემოქმედების ფაქტორები ამ შემთხვევაში უფრო კონკრეტული იქნება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, კონცეფცია მოიაზრებს ხეობის მთავარი სატრანსპორტო არტერიის მაქსიმალურად გაფართოებას და სტანდარტებზე მორგებას. არსებული ინფორმაციით, რადგან ატენის ხეობაში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა (შ-137) ახალი დაგებულია, ამ ეტაპზე მისთვის არანაირი რეაბილიტაციის ჩატარება არ იგეგმება.

ტანას ხეობაში არსებული და პერსპექტიული ქუჩები, იერარქიის მიხედვით, დახარისხდა არტერიულ, შემკრებ და ადგილობრივი მნიშვნელობის ქუჩებად ან ჩიხებად, განისაზღვრა გაბარიტული ზომები და შემუშავდა მათი განვითარების მინიმალური პირობები, რაც მნიშვნელოვანია მობილობის მოწესრიგებულ და ხარისხიანი განვითარებისთვის.

დოკუმენტის მიხედვით, ტანას ხეობის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის ხარისხის ამაღლება. კონცეფციის თანახმად, ავტოსადგომების დამატება აუცილებელია ხეობის მთავარი სატრანსპორტო გზის, „ხიდისთავი-ატენი-ბოშურის“ (შ-137) მიმდებარედ. ასეთი არეალები შეიძლება იყოს: ტურისტული ადგილები, მიზიდულობის ცენტრები, ეკლესია-მონასტრები და სხვა.

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ არეალში სატრანსპორტო ღერძია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ-137 გზა „ხიდისთავი-ატენი-ბოშური“ (სიგრძე 28 კმ), რომლითაც ხდება ატენის ხეობის ყველა სოფლის კონტაქტი მუნიციპალიტეტის ფარგლებში და მის საზღვრებს გარეთ. ხეობის დანარჩენ გზებს წარმოადგენს



დასახლებათშორისი, ადგილობრივი და ტყის გზები, რომლებიც უმეტესად გრუნტიანი ან ხრემიანი საფარითაა დაფარული.

დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო არეალის საზღვრებში ჯამში 33 ხიდია. აქედან, მდ. ტანაზე - 29 ხიდი (22 საავტომობილო და 7 საქვეითო), მდ. ათრევეზე - 1 ხიდი, მდ. ვერაზე - 3 ხიდი.

კონცეფციით, განვითარებისა და სათანადო საჭიროების შემთხვევებისთვის წარმოდგენილია ორი საპროექტო ხიდი მდ. ტანაზე:

- სამანქანო ხიდი „ნიკა ვაჩიშვილის მარნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ვინაიდან იგი წარმოდგენს ხეობის ერთ-ერთ მთავარ ტურისტულ ადგილს;
- საფეხმავლო ხიდი „ინტერნატის უბნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ვინაიდან იგეგმება მისი წერტილოვანი განვითარება საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სპორტული და სარეკრეაციო ფუნქციით.

დოკუმენტის მიხედვით, წარმოდგენილი საპროექტო ხიდებიდან ორივე ხიდის მშენებლობა პრიორიტეტულია. ასევე, შესასწავლია სხვა პერსპექტიული ადგილები ხიდებისთვის და საჭიროების შემთხვევაში მათი აუცილებლობის შეფასება და დაგეგმარება. მნიშვნელოვანია არსებული ხიდების რეაბილიტაცია, რადგან მათი განვითარება საფეხმავლო და სატრანსპორტო გადაადგილების გარდა, მნიშვნელოვანია საველოსიპედე ბილიკების და ტურისტული მარშრუტების განვითარებისთვის.

ტანას ხეობის მომავალი განვითარებისთვის, განხილულ იქნა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ორი ალტერნატივა:

- პირველი ალტერნატივა - არსებული ე.წ. Off Road-ის გზების შენარჩუნება, მოწესრიგება და მეზობელ მუნიციპალიტეტებთან უფრო მოსახერხებელი კავშირების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს წრიული ტურისტული მარშრუტების განვითარებას.
- მეორე ალტერნატივა - მეზობელ მუნიციპალიტეტებში გადასასვლელი გრუნტის გზების მოასფალტება და სრული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გზების ალტერნატივების შეფასება გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნება სკოპინგის ანგარიშში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშში განხილულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორები. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას გავლენა ექნება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს კომპონენტების მდგრადობაზე.

სტრატეგიული დოკუმენტის არსებული ეტაპისთვის (კონცეფციის სამუშაო ვერსია) ასევე მუშავდება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) შესაბამისი საკითხები. მოცემული საკითხები პროექტის შემდეგი ეტაპებისთვის (გეგმის პროექტი) დამუშავდება სხვადასხვა დარგობრივი სპეციალისტის მიერ. თითოეულ საკითხს მიენიჭება კოეფიციენტი და ხეობის განვითარებისთვის შეირჩევა ის,

რელევანტური საკითხები, რომლებიც შემდგომ უფრო დეტალურად დამუშავდება (მათ შორის აისახება გრაფიკულ ნაწილში) და შეფასდება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.

დოკუმენტაციის მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება დადებითად უნდა აისახოს ლანდშაფტების მდგომარეობაზე, რადგან მათი სამომავლო გამოყენება მოხდება გარემოსდაცვითი, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ღრმა ანალიზის საშუალებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ლანდშაფტზე უარყოფითი ზემოქმედება, ხედვებით წარმოდგენილი წერტილოვანი ობიექტებია, რომლებიც შემოთავაზებული ზონირების ფარგლებს გარეთაც არის წარმოდგენილი. თუმცა, დოკუმენტის მიხედვით, ობიექტები არ გამოირჩევა მასშტაბურობით და გარკვეულ შემთხვევაში ხედვებით გათვალისწინებულია არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სამომავლო გამოყენება.

სგშ-ის ეტაპზე ლანდშაფტზე ზემოქმედების საკითხები (დადებითი და უარყოფითი) დეტალურად იქნება წარმოდგენილი.

დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება დადებით ზეგავლენას იქონიებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

სკოპინგის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული საქმიანობების განხორციელება გარკვეული კუთხით შესაძლოა დაკავშირებული იყოს დაცულ ტერიტორიებსა და ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასთან. თუმცა, ნათქვამია, რომ ალტერნატიული ვარიანტები განხილული იქნება გარემოსდაცვით ჭრილში და შეფასდება ბიოლოგიურ გარემოზე და დაცულ ტერიტორიებზე დაბალი ხარისხის უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით უმჯობესი ვარიანტი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საერთო ჯამში, უარყოფითი ზემოქმედების რისკების არსებობის მიუხედავად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება მაღალი ხარისხის დადებითი ზემოქმედების მატარებელი იქნება, როგორც დაცულ ტერიტორიებზე, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით. საკითხები დეტალურად იქნება განხილული სგშ-ის ანგარიშში .

დოკუმენტში, სტრატეგიული დოკუმენტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ცხრილის სახით შემუშავებულია შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისთვის საჭირო 10 ღონისძიება. რეკომენდაციები და შემარბილებელი ღონისძიებები დაზუსტდება სგშ-ის ეტაპზე.

გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის სგშ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

**სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. **სგშ-ის ანგარიში** უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;
2. **სგშ-ის ანგარიში** უნდა მოიცავდეს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სადაც ასევე აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები;
3. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შესახებ, ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გათვალისწინებით;
4. **სგშ-ის ანგარიშს** უნდა დაერთოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისთვის შერჩეული ტერიტორიების shp ფაილები;
5. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა ღონისძიებები იგეგმება დაცული ტერიტორიების მიმდებარედ, shp ფაილების მითითებით;
6. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია;
7. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები;
8. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი, მათ შორის სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე;
9. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების მითითებით, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში;
10. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, მათ შორის დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგები;
11. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა იყოს განხილული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოს ყველა კომპონენტზე (მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე) შესაძლო ზემოქმედების შესახებ შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი და წარმოდგენილი უნდა იყოს იმ

- ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის;
12. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი არეალის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკა;
  13. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში საჭიროა, განხილული იყოს ინფორმაცია სივრცითი კატეგორიების (ბუნებრივი ლანდშაფტი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიები, დასახლებული ტერიტორიები) ფუნქციების, დადგენილი შეზღუდვების და ნებადართული საქმიანობების შესახებ;
  14. სგშ-ის ანგარიშში ცალკე თავი უნდა დაეთმოს ალტერნატივების მიმოხილვას, მათ ანალიზსა და შეფასებას; წარმოდგენილ უნდა იყოს განაშენიანების სტრატეგიული, გეგმარებითი და კონკრეტული ალტერნატივები, ასევე, ამ ალტერნატივების შეფასება და შედარება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ალტერნატივების შერჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით. წარმოდგენილი უნდა იყოს ალტერნატივების შერჩევის მიმოხილვა;
  15. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ (შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით);
  16. სგშ-ის ანგარიშში საჭიროა სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული საქმიანობების ფარგლებში ზედაპირულ წყლებზე მოსალოდნელი პოტენციური ზემოქმედებების სახეების იდენტიფიცირება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ასახვა;
  17. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს განხილული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოს კომპონენტებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი, ასევე შესაბამისი შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებები (პასუხისმგებელი ორგანოების მითითებით);
  18. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ანგარიშის მომზადებაში ჩართული ექსპერტების თაობაზე, კვალიფიკაციის მითითებით;
  19. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული კლიმატის საფრთხეების მოწყვლადობის მატრიცა. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია განაშენიანების ტერიტორიაზე ექსტრემალური ამინდის მოვლენებით გამოწვეული ინფრასტრუქტურის დაზიანების თაობაზე.

### მოწყვლადობის მატრიცის შესაძლო ფორმატი

გეგმის მგრძობიარე კომპონენტები	შეხება (შესაბამისი კლიმატური ცვლადები და საფრთხეები საპროექტო არეალისთვის, როგორც ამჟამინდელი, ისე სამომავლო, ე.ი. კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, ინდიკატორული შეფასების რანჟირების შემდეგი დონეებით: დაბალი, საშუალო, მაღალი.			
	სიცხე	გვალვა	წყალდიდობები	...
ფართობი X.x. სასოფლო-სამეურნეო მიწა (მდინარის გასწვრივ)				
დერეფანი Y.x				
დერეფანი Z.x (მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი)				
ფართობი X.z (საცხოვრებელი ტერიტორია, საოჯახო სახლები)				
...				

20. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყოს საპროექტო არეალში არსებული ზედაპირული წყლის ობიექტების, მდ. ტანას მთავარი შენაკადების - მდ. ვერასა და მდ. ათრევის ძირითადი ჰიდროლოგიური პარამეტრების საანგარიშო მახასიათებლები. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ საკვლევი ტერიტორიის რელიეფის დიდი ნაწილი მკვეთრად დანაწევრებული, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელით შექმნილი ღრმა ხეობებით ხასიათდება, რაც ინტენსიური წყალმოვარდნებისა და ღვარცოფული პროცესების მიმართ საგრძნობლად მოწყვლადს ხდის საპროექტო ტერიტორიას და შესაბამისად, მოითხოვს ზედაპირული წყლის მთავარი ობიექტის, მდ. ტანას აუზის მორფომეტრიული პარამეტრების და ჩამონადენის დეტალურ ჰიდროლოგიურ შესწავლას;

21. სგშ-ის ანგარიშში სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი საკვლევი არეალის ჰიდროლოგიური პირობები და მასთან დაკავშირებული საფრთხეები (მაგ. წყალდიდობა-წყალმოვარდნების საფრთხეები და ა.შ). სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს წყალდიდობა-წყალმოვარდნის საფრთხის თაობაზე შემდეგი ინფორმაცია:

- წყლის ობიექტების აუზების მახასიათებლები, განსაკუთრებით წყალდიდობების განმეორებადობის ალბათობა/ხდომილება და მახასიათებლები, მათი სიმძიმე და წყალდიდობისგან დაცვის არსებული ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენს წყალდიდობის

მიმდინარეობაზე (რეზერვუარები, დამცავი კაშხლები, პოლდერები, ტექნიკური და ბუნებაზე დაფუძნებული მოდიფიკაციები);

- გამოყოფილი (ადმინისტრაციულად გამოყოფილი) დატბორვის ზონების, აქტიური ზონების, დატბორვის ზონების ტერიტორიების მასშტაბი და მახასიათებლები;

- არსებული ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს წყალდიდობის რისკებს და ხელშემშლელი ფაქტორები, წყალდიდობისგან დაცვის ღონისძიებები;

- დატბორვის ზონაში მდებარე განაშენიანებული ტერიტორიის არეალის წილი - მუნიციპალიტეტების მასშტაბით განაშენიანებულ საერთო ტერიტორიასთან შედარებით (დასახლების წილი, რომელიც ექცევა წყალდიდობის საშიშროების ქვეშ);

26. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ლანდშაფტის ტერიტორიების შესახებ, მათ შორის: ტერიტორიის ბუნებრივი მახასიათებლები (რელიეფი, კლიმატი, ჰიდროლოგია, მცენარეული საფარი, ლანდშაფტის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტრუქტურა); ლანდშაფტის თანამედროვე მდგომარეობა; ზემოქმედების ფორმები და მასშტაბები; მდგრადობა; სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია; ტერიტორიის კულტურული და ისტორიული მახასიათებლები; ლანდშაფტის ფრაგმენტაცია და ლანდშაფტის სხვა სახის დარღვევები; ცვლილების ძირითადი მამოძრავებელი ძალა; მოსალოდნელი განაშენიანება შემოთავაზებული სივრცის/ქალაქთმშენებლობითი გეგმის გამოყენების გარეშე; გამიჯნული ლანდშაფტების სქემა (ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ტერიტორიები); ლანდშაფტის მახასიათებლების შედგენა გეოლოგიურ საფრთხეებთან ან სხვა ბუნებრივ ან/და ადამიანის მიერ წარმოქმნილ სტრესორებთან მიმართებით;

27. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის, სახნავ-სათესი მიწის, მუდმივი მდელოებისა და სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავარგულების თაობაზე, საკადასტრო ფართობის მიხედვით;

28. **სგშ-ის ანგარიშის** მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელოს“ რეკომენდაციები და მიდგომები;

29. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი იყოს დამატებითი ინფორმაცია განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებით ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზე;

30. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია გარემოზე დაფუძნებული გადაწყვეტების თაობაზე;

31. **სგშ-ის ანგარიშში** მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა.

32. **სგშ-ის ანგარიშის** გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება; სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგიური პირობები; საინჟინრო - გეოლოგიური პირობები; გეოდინამიკური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.

## სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ა:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 6 მარტის N12/897 წერილის თანახმად, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მასალა ზოგად წარმოდგენას იძლევა საპროექტო არეალის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური და არამატერიალური ძეგლების თაობაზე, თუმცა, მიზანშეწონილია, კვლევის სტადიაზე მოხდეს ამ მასალის მეტად შევსება და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აღკვეთილისა და დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებული ნასოფლარებისა და სოფლების განაშენიანების კვლევის საკითხებს. ასევე, წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის რუკა ნაკლებად ინფორმაციულია კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, არც მასშტაბითა და არც მონაცემებით არ იძლევა სრულფასოვან სურათს. ამდენად, მიზანშეწონილია, კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) საკითხებთან დაკავშირებით, კვლევით ნაწილზე გაგრძელდეს მუშაობა, მათ შორის შესაბამისი ფასეულობის მქონე ობიექტების, სივრცეების, ლანდშაფტების, ურბანული ქსოვილების, ფუნქციური კავშირების გამოვლენა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად რეკომენდაციების შემუშავება (ტექსტური, გრაფიკული და ფოტომასალის დამატებით), რაც ხელს შეუწყობს ატენის ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიის სივრცის დაგეგმარების დოკუმენტაციის შესამუშავებლად მყარი საფუძვლის შექმნას;
- მნიშვნელოვანია ძველი ნასოფლარების არქიტექტურული და სამშენებლო თავისებურებების ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ამ მიზნით, სამომავლოდ შესაბამისი დოკუმენტების შემუშავება;
- სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის ცხრილ 5.1-ში (გვ. 64) წარმოდგენილია გეოლოგიური საფრთხეების შემცველი მხოლოდ 7 უბანი, რაც არ ასახავს რეალურ სურათს, ვინაიდან მდ. ტანას ხეობაში უფრო მეტი გეოლოგიური პროცესებით დამაბული უბანია (ღვარცოფული ხეხვები, ქვათაცვენები) იდენტიფიცირებული. ასევე, ამ ცხრილში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ მომზადებული საინფორმაციო ბიულეტენი. მსგავსი მასშტაბის პროექტისთვის მხოლოდ აღნიშნული ბიულეტენის მონაცემების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი და საჭიროა გეოდინამიკური პროცესების სავსე პირობებში უფრო დეტალური შეფასება;
- მეწყერი პროცესების საფრთხეების ზონირების რუკაზე დატანილია მხოლოდ დაბალი და საშუალო საფრთხის ზონები, არადა საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური და მორფოლოგიური პირობების გათვალისწინებით, ატენის ხეობაში მეწყრის მაღალი საფრთხის არეალებიც გვხვდება, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სამიზნე

არეალში დაფიქსირებულია რამდენიმე მეწყრული სხეული, რომლებიც საშიშროებას უქმნიან სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს;

- ღვარცოფის საფრთხის ზონირების რუკაზე საშიშროების რისკის მიხედვით გამოყოფილია სამი ზონა: დაბალი, საშუალო და მაღალი, თუმცა აღნიშნული ზონები არ მოიცავს მთლიან საკვლევ ტერიტორიას. თუ ამ ტერიტორიებზე არ არსებობს ღვარცოფის საფრთხე, მაშინ მაინც უნდა მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის დატანა შესაბამისი პირობითი ნიშნით;
- სხვადასხვა საფრთხის ზონირების რუკები შესრულებულია წვრილ მასშტაბში, რის გამოც აღნიშნული რუკები არ იკითხება. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა, რომ რუკა იყოს უფრო გარჩევადი, ანუ შესრულდეს მსხვილ მასშტაბში.
- სივრცითი განვითარების ზონების დაგეგმვის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

**სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.**

#### **დასკვნითი ნაწილი:**

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის სგშ-ის ანგარიშში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.



